# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

## დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95223623**

თარიღი:**28/12/2022**

**ქედის მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიის, ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.დამტკიცდეს:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი თანახმად დანართი №1-სა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი თანახმად დანართი №2-სა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

გ) სამოქმედო გეგმა თანახმად დანართი №3; №4; №5; №6-სა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2.დანართები №1 - №6 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3.მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს სტრატეგიებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358)

6.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი